15.08.2012

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
2011 წელი (დაზუსტებული)

დაზუსტებული მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2011 წელს 1117 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 14 პროცენტით აღემატება 2011 წლის წინასწარ, ხოლო 37 პროცენტით 2010 წლის დაზუსტებულ მონაცემებს.

დიაგრამა №1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2006-2011 წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)



ცხრილი №1 ასახავს მოცემული მაჩვენებლისა და საინვესტიციო ნაკადების კვარტალურ დინამიკას 2010-2011 წლებში. 2011 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 1596 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 22 პროცენტით აღემატება 2010 წლის მაჩვენებელს.

ცხრილი №1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2010-2011 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	I	II	III	IV	**2010**	I	II	III	IV	**2011**
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სულ	**167**	**208**	**226**	**214**	**815**	**210**	**248**	**317**	**343**	**1117**
მათ შორის:										
ინვესტიციების მთლიანი შემოდინება	256	402	296	349	**1303**	315	334	437	509	**1596**
ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება (იხ. განმარტება ბოლო გვერდზე)	-89	-194	-71	-135	**-489**	-106	-86	-121	-166	**-478**

2011 წელს რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 30 პროცენტი შეადგინა. ცხრილი №2 ასახავს რეინვესტირებული თანხების წილს მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2006-2011 წლებში.

ცხრილი №2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტიცია საქართველოში 2006-2011 წწ.

	2006	2007	2008	2009	2010	2011
რეინვესტიციის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (%)	5.4	2.4	4.9	-8.4	28.1	30.0

დიაგრამა №2



2011 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 65 ქვეყნიდან განხორციელდა. 2010 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 61, ხოლო 2009 წელს 60 ქვეყანა შეადგინა. 2011 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა (ცხრილი №3):

ცხრილი №3

ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2011 წლის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	I	II	III	IV	**2010**	I	II	III	IV	**2011**
სულ	**166.5**	**208.3**	**225.6**	**214.1**	**814.5**	**209.72**	**248.34**	**316.59**	**342.59**	**1117.2**
მათ შორის:										
ნიდერლანდები	40.7	-9.3	20.3	21.7	**73.4**	39.4	20.5	108.1	73.8	**241.8**
აზერბაიჯანი	11.4	16.2	17.6	12.8	**58.0**	19.9	29.5	42.9	45.7	**138.0**
დანია	0.0	0.1	-0.1	0.0	**0.0**	0.0	0.0	99.7	-2.6	**97.2**
საერთაშორისო ორგანიზაციები	3.0	12.4	18.6	11.1	**45.2**	8.7	23.2	11.3	51.7	**94.9**
თურქეთი	33.3	12.6	24.7	21.2	**91.8**	16.1	21.9	27.5	10.0	**75.5**
რუსეთი	5.6	19.4	17.3	5.6	**47.9**	21.4	12.0	8.4	13.6	**55.4**
გაერთიანებული სამეფო	9.1	23.7	12.4	13.8	**59.0**	39.3	5.2	5.8	4.7	**55.0**
ჩეხეთი	26.3	-5.0	6.8	-3.9	**24.2**	17.0	-1.3	14.5	16.4	**46.6**
ლუქსემბურგი	3.3	3.0	-0.7	1.4	**7.1**	2.3	1.8	9.1	30.0	**43.3**
ვირჯინის კ-ები (ბრიტ.)	-1.7	37.3	6.9	-2.3	**40.2**	14.6	23.1	0.7	3.6	**42.1**

დიაგრამა №3



უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილმა 2011 წელს 83 პროცენტი შეადგინა. პროცენტულ სტრუქტურას განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა №4, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე ნიდერლანდები იმყოფება 22 პროცენტით, მეორეზე - აზერბაიჯანი 12 პროცენტით, მესამეზე - დანია 9 პროცენტით.

დიაგრამა №4

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2011 წელს



პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორების მიხედვით მოცემულია ცხრილში №4:

ცხრილი №4

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2010-2011 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)

	I	II	III	IV	**2010**	I	II	III	IV	**2011**
სულ	**166.5**	**208.3**	**225.6**	**214.1**	**814.5**	**209.7**	**248.3**	**316.6**	**342.6**	**1,117.2**
მათ შორის:										
ენერგეტიკა	16.0	-5.7	4.9	6.6	**21.8**	38.4	-7.5	82.4	90.7	**204.0**
საფინანსო სექტორი	10.4	26.0	53.2	17.8	**107.4**	37.6	26.7	47.8	55.5	**167.7**
კონსულტირება	7.6	17.2	20.3	-0.5	**44.6**	5.5	19.0	49.4	61.6	**135.6**
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	15.0	33.6	38.5	128.0	**215.1**	0.7	60.6	28.5	36.7	**126.5**
დამამუშავებელი მრეწველობა	52.3	72.9	32.2	17.9	**175.3**	48.1	23.5	18.3	30.5	**120.3**
უძრავი ქონება	8.2	22.4	32.3	11.8	**74.7**	3.4	38.2	-0.1	47.6	**89.2**
მშენებლობა	3.1	-7.3	7.9	1.0	**4.7**	20.3	22.6	4.5	0.7	**48.1**
სამთომოპოვებითი მრეწველობა	3.4	18.6	10.0	21.5	**53.5**	20.5	-6.6	11.6	14.7	**40.2**
სასტუმროები და რესტორნები	22.7	-10.3	4.1	0.7	**17.2**	16.0	10.9	2.9	-7.2	**22.7**
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	0.1	-0.2	0.0	1.3	**1.2**	3.8	1.0	13.3	-1.3	**16.8**
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	3.3	2.9	0.8	1.7	**8.7**	2.3	2.4	6.1	4.1	**14.9**
დანარჩენი სექტორები	24.4	38.3	21.4	6.2	**90.3**	13.1	57.4	51.8	8.9	**131.2**

*მოიცავს კონსულტირებას, კვლევით-საძიებო სამუშაოებს, რეკლამას და ბაზრის გამოკვლევას და სხვა სახის მომსახურებას.
*მოიცავს უძრავ ქონებას და იჯარას.

2011 წელს ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ენერგეტიკის სექტორში განხორციელდა და 204 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

2011 წელს 2010 წელთან შედარებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მზარდი ტენდენცია განსაკუთრებით აღსანიშნავია ენერგეტიკის, ჯანდაცვისა და მშენებლობის სექტორებში.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2011 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაში №5:

დიაგრამა №5

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2011 წელს



ცხრილი №5

მშპ და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

	2006	2007	2008	2009	2010	2011
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. აშშ დოლარი)*	7 761.7	10 171.9	12 800.5	10 767.1	11 636.5	14 370.4
პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (მლნ. აშშ დოლარი)	1 190.4	2 014.8	1 564.0	658.4	814.5	1 117.2
პირდაპირი უცხოური ინვესტიციის წილი მშპ-ში (%)	15.3	19.8	12.2	6.1	7.0	7.8

*2011 წლის მშპ-ის მონაცემები წინასწარია.

2011 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილმა მშპ-ში 7.8 პროცენტი შეადგინა, რაც 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 0.8 პროცენტული პუნქტით მეტია.

წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“);
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური;
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

განმარტება: ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირებაში იგულისხმება დივიდენდების გაცემა, სავაჭრო კრედიტის დავალიანების დაფარვა, სესხისა და პროცენტის თანხის გადახდა.

საინფორმაციო ფურცელი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აწარმოებს ბიზნეს სუბიექტების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკურ გამოკვლევას კვარტალური და წლიური პერიოდულობით. აღნიშნული კვლევის შედეგების საფუძველზე გაიანგარიშება ქვეყნისათვის ისეთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, როგორიცაა საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

კვარტალური გამოკვლევის საფუძველზე მიღებული მონაცემები, როგორც წესი, წინასწარია და ექვემდებარება დაზუსტებას წლიური გამოკვლევის შედეგებით. კერძოდ, საქსტატი წინასწარ წლიურ მონაცემებს ანგარიშობს ოთხი კვარტალის შეჯამებით, ხოლო წელიწადში ერთხელ ატარებს წლიური პერიოდულობის გამოკვლევას (სტატისტიკური გამოკვლევა „მონაცემები საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“). მიღებული შედეგების საფუძველზე წარმოებს კვარტალური მონაცემების შესწორება და დაზუსტებული წლიური მაჩვენებლების გაანგარიშება.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 2011 წლის დაზუსტებული მონაცემები წინასწართან შედარებით 14 პროცენტით არის გაზრდილი, რაც ძირითადად გამოწვეულია საწარმოების მიერ საანგარიშგებო პერიოდის საბალანსო მონაცემების დაზუსტებით.

საქსტატი მადლობას უხდის საწარმოებს თანამშრომლობისათვის.